ეროვნული ბიბლიოთეკა

1913

ნაპერწალი

საბავშვო ჟურნალი

მცირე წლოვანთათვის

სექტემბერი.

№ 18

ნაკადული

წელიწადი მე-IX. № 18. სექტემბერი, 1913 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეხედარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი:

I — მხედარი,—სურ. 1

II — ორი მამლაყინწა,—დექსი ბ. ახოსპირელისა . . 3

III — ნატვრის თვალი,—დეო ქიაჩელისა. . . 5

IV — სხვის ბინის მტაცებელნი,— (თარგმ). ელ. ანტონოვ-
სკისა. 15

V — კაცი და გველი,—(ზღაპარი) მ. ხუციშვილისა . . 21

VI — მკითხველების წერილები 23

VII — გასართობი:—ვეოგრაფიული ამოცანა, რებუსი და
აღსნა 24

ტფილისი, ელექტ.-მბეჭდ. ა. ქერესელიძისა, გაბაევის შესახვევი № 1.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ორი მამლაყინწა.

ამლაყინწამ მამლაყინწა
საჭიდაოდ გაიწვია,
ნისკარტი ხომ გაილესა,
ფრთებიც მაღლა აიწია!..

მიაძახა: ,,აქეთ გადმო,
ისე რიგად გაგორაო,
რომ შენვე სთქვა: ვენაცვალე,
უჰ, რა კარგად მაგორაო!..

,,სარმა ვიცი იმისთანა,
რომ ჯერ არსად ნახულაო;
ჩემგან მიწას დანატეორცნი
ტულაპად გამოსახულაო!..

,,ფრთის ძალას ხომ ნუღარ იტყვი!
ერთი მაგრა რომა გდრუზო,
მე მგონია, ფეხ-მოტეხილ
წიწილივით მოიბუზო!..''

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამგვარ კვესნით ამოახრჩო
მამლაეინწამ მამლაეინწა;
ცოტა აკლდა—მეტის ჯავრით
ხედ შუა არ გაიფხრიწა!..

უპასუხა: „თუ ასეთი
ლონიერი ვინმე ხარო,
მოდი საქმე გაგიჩინო;
ასე ცუდად რას დგეხარო?!.“

ეს უთხრა და დაეტაკა!
სამჯერ დასცა ხმელ მიწაზე
და ბაქია შერცხვენილი
გაისტუმრა თავის გზა'ხე!..

ბ. ახოსპირელი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნატვრის-თვალი.

(ზღაპარი)

ვანო და ნუცა დიდ-დედამ მამიდა სალომესთან გააგზავნა. თაფლი სჭიროდა წამლისათვის დიდ-დედას, რადგანაც ვანოს და ნუცას დედა ავად იყო, და თაფლი-კი სახლში არ ჰქონდათ.

მამიდა სალომე ცოტა შორს იდგა. ვანო და ნუცას უნდა გაევლოთ ფართო მინდორ-მწვანე, რომლის შუა გულში მირაკრაკებდა ცელქი და დაუდეგარი რუ-ანკარა. რუ-ანკარას ცოტა ზემოდ იწვებოდა თმა-ქუჩუჩა და უხვ-ფოთლიანი ტეე-შრიალა; ტეე-შრიალას განაპირას-კი მოსახლეობდა მამიდა სალომე.

დილა იყო ჰირ-მზიანი, როცა ვანო და ნუცა გამოვიდნენ სახლიდან და მამიდასკენ გზას გაუდგნენ. ვანოს უაბალახით თავი წაკრული ჰქონდა და გრძელი ჯოხი ეჭირა ხელში. ვანო თამამი და გამბედავი იყო: არც გველის ეშინოდა, არც ტურისა და არც ძაღლების! ის წინ მიდიოდა, როგორც გზის მცოდნე და უფროსი... ნუცას მიჰქონდა თაფლისათვის ჯურჯელი. ჯურჯელს ყელზე ბაწარი ქონდა მობმული, და ბაწრის თავი ნუცას ეჭირა ხელში. ეს ბაწარი დიდ-დედამ მოაბა ჯურჯელს, რათა ნუცას მისი ტარება არ გასძნელებოდა, ან ხელიდან არ გაეგარდნოდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამას წინად დედა რომ ავად იყო, მე მარტო წავედ მამიდასას!.. ტეე-შრიალაში რომ შევედი,კი არ შემშინებია!— სთქვა გზაზე ვანომ.

— ტეე-შრიალაში ტურები სცხოვრობენო, მითხრეს... ნეტავი თუ მართალია? იცი, ვანო, რომ ტურა მე ჩემს დღეში არ მინახავს!

— მე-კი მინახავს! როსტომას ძაღლი რომ არის—კუდია —იმას ჰგავს ტურა. წითელია ი დაწეევლილი!

— მერე, რომ ნახე, არ შეგეშინდა?

— სულაც არ შემშინებია! ჯოხი მოუქნიე, და გაიქცა!.. მშიშარაა ნუცა, ტურა!.. კაცის ძალიან ეშინია!

— რომ არ გაქცეულიყო, რას იზამდი?

— ჯოხს დავარტყამდი და მოვკლავდი! მე-კი, ვიცი სად უნდა დავარტყა, რომ წამსვე მოკვდეს!—თავმომწონედ ამბობდა ვანო და გარშემო იყურებოდა ვაჟკაცურად. ნუცა-კი უჯერებდა მას, რადგანაც იცოდა, რომ ვანო ღონიერი იყო და თამამი.

მალე მიადგნენ მგზავრები მინდორ-მწვანეს და ვიწრო დატკეპნილ გზას გაჰყვნენ.

— მე რომ ნატვრის-თვალი მომცა, იცი, რას ვინატრებდი, ვანო?—უცებ ჰკითხა ნუცამ ვანოს.

— რას?

— დედის მორჩენას!.. მაშინ დიდ-დედას წამლის მზადებაც არ დასჭირდებოდა!

— ტეე-შრიალაში უნდა იყოს იგი ნატვრის-თვალი, მაგრამ ძნელია მისი ნოვნა!

— რატომ არის ასე ძნელი, ნეტავი!?

— ის, გოგო, გველებსა აქვთ შენახული ისეთ ადგილას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ კაცი ვერ მიგვა!.. რომ მიგიდეს კაცი კიდეცა, გველებს დაესევიან და დაკბენენ.

— დიდ-დედამ მეც მითხრა, რომ გველებსა აქვთო!.. ნეტავი რატომ არის, რომ იმისთანა კარგი რამ გველსა აქვს?!

— წელიწადში ერთხელ თურმე, სადმე თხრილში, დიდ ორმოში, შეიკრიბებიან გველები და გამოიტანენ გარედ ნატვრის-თვალს! შეჯგუფდებიან ყველანი ერთად და ბურთივით ათამაშებენ თურმე! მაშინ თუ ვინმე ბედნიერია, წააწყდება ასეთ ამბავს და, თუ იცის ხერხი, გამოსტეუებს ნატვრის-თვალს!.. ეჰ, ნეტავი, მე ვნახო და ის კი ვიცი, როგორ უნდა მოვიქცე!..

— მასწავლე მეც, ვანო!

— აი, როცა ნახავ, რომ ნატვრის-თვალს ათამაშებენ გველები, ყაბალახი, ან თავ-სახვევი უცბად დაამრგვალე, ბურთს რომ ჭვავდეს ისე, და გადაუგდე გველებს!.. იმათ მაშინ შეეშლებათ და ნატვრის-თვალის ნაცვლად ყაბლახს დაუწყებენ თა-

მაშს! შენ უნდა იგვარგო მაშინ, დასტაცო ხელი ნატვრის-თვალს და გამოიქცე რაც ძალა და ღონე გაქვს! გველები მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლე გაიგებენ, რომ მოსტეუვდნენ და სისინით გამოგედევნებ-ბიან! შენ არ უნდა შეშინდე!.. მდინარესკენ უნდა გაიქცე და მეორე ნაპირზე უნდა გადახვიდე დაუოვნებლივ!.. მაშინ მდევ-რები შენ კვალს დაჰკარგავენ, რადგანაც, როცა ჰკითხავენ წუალს:

,,ესა და ეს კაცი არ გინახავს საით წავიდაო?''—წუალი ეტევის: ,,თქვენც ახლა მოდით და მეც ახლა მოვედიო!..'' გულ-დაწუეტილი დარჩებიან გველები და გამწარალნი უკან დაბრუნდებიან.

— რა ადვილი ეოფილა! რა ადვილი, ვანო! მაგას მეც ვიზამ.

— უნდა იცოდე-კი ხერხი და, რატომ არა, შენც იზამ!

ასეთ საუბარში გალიეს მინდორ-მწვანე ვანომ და ნუცამ, ფეხ-და-ფეხ გადვიდნენ რუ-ანკარაზე და ტეე-შრიალაში შევი-დნენ. როცა დაინახა მომავალი და-ძმა ტეე-შრიალამ, ფრთიანი ნიავი გამოაფრინა მათკენ და ალერსით მიეგება მგზავრთ. ფრთიანმა ნიავმა გადაკოცნა ნუცა და ვანო, ეურში ჩაუხმა-ტკბილა და წარუძღვა ტეის შუა გულისკენ!.. ტეის მგალობე-ლი ფრინველები ჩამოსხდნენ ახლო ხეებზე და საამო ჭიკჭიკით მიეგებნენ ვანოს და ნუცას!!.

— რა კარგია ტეე, ვანო!.. მე მიეეარს იგი!—აღტაცებით სთქვა ნუცამ.

— მეც მიეეარს!.. ხედავ ეეავილებს?.. გესმის გალობა?.. ტეის შრიალი?

— სულ ვიარეთ ტეე-შრიალაში, ვანო!.. ვინ სთქვა ტეე-შრიალაში ტურა სცხოვრობსო?

ეეავილებს ვანოსა და ნუცასკენ მოუღერებიათ ეელი, გუ-ლი სულ გაუღიათ და თვალები გაუფართოვებიათ, საამო სურ-ნელი დაუფრქვევიათ მთელ ტეეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ტეის ნიავმაც, ჩიტებმაც, ყვავილებმაც იციან ახლა, თუ სად არის დამალული ნატვრის-თვალი,—სთქვა ვანომ: —ჩვენ რომ გვესმოდეს მათი ენა, გავიგებდით გველების საიდუმლოს და გავბედნიერდებოდით!

— რატომ არ გვესმის მათი ენა? არც დიდ-დედას ესმის, ვანო, ნიავის, ჩიტების და ყვავილების ენა?.. მოდი, დიდ ხანს ვუგდოთ ყური, იქნება, გავიგოთ.

— არა, ჯერ მამიდასთან მივიდეთ, გამოვართვათ თაფლი და აქეთობას ცოტა ხანს ტეეშიც დავიცადოთ!

— მაშ, კარგი!.. რა ტეუილი ეოფილა, ტეე-შრიალაში ტურები არიანო!.. ტეე-შრიალაში რა უნდა ტურებს?—ვანომ და ნუცამ ნაბიჯს მოუმატეს...

ჩიტებმა, ეს რომ შეამჩნიეს, სულ ერთიანად აჭიკჭიკდნენ.

,,ისევ დაბრუნდით!.. მალე, მალე დაბრუნდითო!''

ყვავილებმა უფრო აფრქვიეს სურნელი...

,,გიცდით!.. გიცდითო!''

ნიავი-კი ყურში ესმატკბილებოდა და-ძმას:

,,ტეე-შრიალას ძალიან უყვარხართ!.. ტეე-შრიალა მუდამ თქვენ მოლოდინშიაო!!''

როცა გამოვიდნენ ტეიდან, ვანო მოუბრუნდა ტეე-შრიალას და ხმა-მაღლა უთხრა:

— ტეე-შრიალავ, ჩვენც ძალიან გვიყვარხარ! სულ შენ გაქებთ და შენზე ვლაპარაკობთ! ჩვენ ისევ დავბრუნდებით სულ მალე!.. შენ-კი, ჩვენო საყვარელო ტეე-შრიალავ, ნატვრის-თვალი დაგვახვედრე აქეთობას და გაგვაბედნიერე!

ნუცამ-კი დაუმატა ძმის სიტყვებს:

— ტეე-შრიალავ, დედაჩვენი ავად არის, და ნატვრის-თვალი მისთვის გვინდა, რომ დედა მალე მოგვირჩეს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშნად თანხმობისა ტეე-შრიალამ თავი დაუკრა ვანოს და ნუცას და თავისი მწვანე ფოთლები ალერსიანად ააშრიალა...

მაძიდა სალომემ მალე გამოისტუმრა ვანო და ნუცა. თაფლი ჩაუსხა ჭურჭელში და მოკითხვა დაუბარა დიდ-დედასთან და დედასთან.

კვლავ შემოვიდნენ ტეე-შრიალაში ვანო და ნუცა. ისინი გახარებულები იეურებოდნენ ირგვლივ, რადგანაც ტეე-შრიალას დანაპირი—ნატვრის-თვალის დახვედრება — არ დავიჭუებიათ. ვანოსაც და ნუცასაც ისე ეჩვენებოდათ, თითქო უკვე ესმოდათ ფრინველების, ნიავის და ევავილების ენა. სადაც-კი ორმოსა, ან ოდრო-ჩოდროს მოჭკრავდნენ თვალს, შეჩერდებოდნენ და ათვალიერებდნენ, მაგრამ აჭიკჭიკებული და ამეტეველებული ტეე-შრიალა სულ წინ სწევდა მათ, სულ წინ.

ბოლოს ვანომ ერთ ორმოში თვალი მოჭკრა რაღაც ბრჭყიალა საგანს, გაექანა და ჩახედა.

— ნუცა, მოდი!.. მოდი, რა გაჩვენო.

ნუცამ მიირბინა.—ორმოს ფსკერზე ძრაგლად შეჯგუფულიეკნენ გველები და რაღაც ბრჭყიალა და ბურთიკით მრგვალ საგანს ათამაშებდნენ.

— ნატვრის-თვალი, ნუცა!—სიხარულით წასჩურჩულა ვანომ ნუცას!—ხომ სედავ?!

— კი, ვანო!.. მაშ, ეაბლახი გადაგუგდოთ!—ნუცას ფერი დაჭკარგოდა სიხარულისა და შიშისაგან.

ვანომ წაიძრო ეაბალახი, დაამრგვალა, შესკვნა რამდენიმე ადგილას. მერე ბურთად გადაქცეული ეაბალახი ესროლა გველებს!.. ამათ მიატოვეს ნატვრის-თვალი და ვანოს ეაბლახით დაიწეს ბურთაობა. მაშინ ფრთხილად ჩავიდა ორმოში ვანო, სწრაფად იხელა ნატვრის-თვალი და ნუცას ამოუგდო ზევით, ხელით ანიშნა უბეში შეინახეო. გახარებულმა ნუცამ არც-კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახედა ნატვრის-თვალს, უბეში შეინახა. ვანომ-კი აჩქარებით ამოირბინა ორმოდან, ანიშნა ნუცას, აბა, გამოიქეცი, და გამოიქცნენ ვანო და ნუცა.

,,ვაშა, ვაშა!''—ულოცავდა ბავშვებს ტუე-შრიალა.

,,ვაშა, ვაშა!''—გაჰკიოდნენ ჩიტები...

— თქვენი ჭირიმე, ჩიტებო, უვავილებო!.. შენი ჭირიმე ტუე-შრიალავ!—მადლობას ეუბნებოდნენ და-ძმა თანამგრძნობებს და გამალებით მორბოდნენ.

ტუე გალიეს, მინდორი გადირბინეს, რუზე გავიდნენ...

— შენ იცი, რუ-ანკარავ, თუ როგორ მოგვეშველები!— უთხრა გასვლისას რუ-ანკარას ვანომ...

— კი, კი, ჯავრი ნუ გაქვსთ!—უპასუხა ჩუხჩუხით რუ-ანკარამ.

ამის შემდეგ სული ამოითქვეს ვანომ და ნუცამ და კვლავ სირბილით წამოვიდნენ.

— იცი, ვანო, რომ დედის მორჩენა მე უკვე ვინატრე?— უთხრა სირბილში ნუცამ ვანოს.

— მაშ, დედა ამდგარი დაგვხდება!.. იცი, ნუცა, ყველაფერი, ყველაფერი აგვისრულდება! ოღონდ ცუდი-კი არაფერი უნდა ვინატროთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლიც გამოჩდა, კარებზე მომლოდინე დიდ-დედაც დაინახეს ნუცამ და ვანომ. სიხარულით დაუკივლეს:

— ნატვრის-თვალი ვიპოვეთ!.. ნატვრის-თვალი, დიდ-დედავ!

გველები მალე მიხვდნენ ვანოსა და ნუცას ხერხს. მწარედ დაისისინეს და ეველა ერთად გამოედენა და-ძმას. ხეს როცა შეხვდებოდნენ გზაზე, ჰკითხავდნენ გველები:

— ვისმეს უყაბალახოს ხომ არ გაუვლია აქაო?

— ვერ დავფარავ, რადგანაც მართლა მირბოდნენ ამას წინად ორი ჰატარა: ვაჟი და გოგო: ვაჟი უყაბალახოდ იყო,— უპასუხებდა ხე:

— საით წავიდნენ?

და ხეც უჩვენებდა იმ გზას, რომლითაც მორბოდნენ ვანო და ნუცა.

გზაზე ბუჩქსაც ეკითხებოდნენ გველები: ბუჩქიც ეუბნებოდა, რადგანაც ვერ დაფარავდა მართალს. ბალახსაც ჰკითხავდნენ გველები; ბალახიც მართალს ეუბნებოდა, რადგანაც ტეუილი არ იციან არც ხემ, არც ბუჩქმა და არც ბალახმა.

მალე მოადგნენ გველები რუ-ანკარას. ჰკითხეს:

— უყაბლახო ვაჟი და გოგო არ გინახავს?

— არ ვიცი!—უპასუხა შორიდან რაკრაკით მომავალმა წყალმა და შეუჩერებლად გაიარა.

— როგორ თუ არ იცი?—გაბრაზდნენ გველები.

— ჩვენ არა ვიცით რა აქაური... ჩვენც ახლა მოვედით და თქვენც!—მწყობრად შემოსძახეს გველებს რუ-ანკარს ტალღებმა და ტკაცუნით ჩაინავარდეს ქვეით.

ამნაირად დაჰკარგეს გველებმა ვანოს და ნუცას კვალი და, რა გზა ჰქონდათ მეტი, რომ უკან არ დაბრუნებულიყვნენ გულ-დაწყვეტილები და ბრაზ-ძორეულები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახარებულ ვანოს და ნუცას დედა, მართლაც, ნუცას ნატვრისამებრ მორჩენილი დახვდათ სახლში.

— ჩვენ ნატვრის-თვალი მოვტაცეთ გველებს!—განაცხადა ვანომ. მას თვალები უბრიწეინავდა და სახე უცინოდა.

— მე იმავე წამს, როგორც-კი ხელი მოვკიდე ნატვრის-თვალს, გულში ვინატრე, დედა, შენი მორჩენა! გულში ეხუტებოდა დედას ნუცა.

— აბა, მიჩვენეთ თქვენი ნატვრის-თვალი!—მიმართა დაძმას დიდ-დედამ.

— ნუცა, ამოიღე უბიდან,—მიმართა ძმამ დას,—ფრთხილად, არ გაგვარდეს, იცოდე!

ნუცამ წაიღო ხელი უბისკენ. ეძია ერთ ხანს, მაგრამ ვერ ნახა ნატვრის-თვალი.

— ვაიმე, ვანო, რომ არ მაქვს?!

— როგორ თუ არ გაქვს? წარბები შეიკრა ვანომ. ნუცამ კვლავ ეძია უბეში, მაგრამ ამაოდ. მაშინ ვანო თვითონაც წაეხმარა ნუცას და ეველა ჯიბეები გაუსინჯა დას, მაგრამ ნატვრის-თვალი-კი არსად იყო.

გაჯავრდა ვანო.

— მე ნატვრის-თვალი მოვტაცე გველებს და შენ-კი დამიკარგეო,—უსაყვედურა მან ნუცას.

— რაში ჩადევით ნატვრის-თვალი?—ჰკითხა დიდ-დედამ შვილის-შვილებს.

— არაფერში, ჰირდაპირ უბეში შევინახე.—უპასუხა აცრემლებულმა ნუცამ.

— ჰოო, მაშ, დაგეკარგებოდათ. ოქროს კოლოფში უნდა შეგენახათ და მაშინ არ დაგეკარგებოდათ... წადით იქნება გზაზე დაგივარდათ მახლობლად... მოძებნეთ.

ვანო და ნუცა წამოვიდნენ, რათა დაკარგული ნატვრის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალი ენახათ. გზაზე ვანო ნუცას არ ელაპარაკებოდა, ბადლიოთეკა განაც გულ-დაწყვეტილი იყო, ხოლო საყვედურის თქმა-კი არ უნდოდა დისთვის, რადგანაც არც მას ჰქონდა ოქრის კოლოფი და იქნება მასაც დაჰკარგოდა ნატვრის-თვალი.

რუ-ანკარამდის ეძიეს, მაგრამ ვერ ნახეს. რუ-ანკარას ჰკითხეს.

— შენზე რომ გადმოვდიოდით, ხომ არ ჩაგვვარდნია შენს წყალში ნატვრის-თვალიო?

— ჩვენ აქაური არაფერი ვიცით!.. ჩვენ ესეცაა მოვედით და კვლავ მივდივართ, არსად შეგჩერდებით.—უპასუხეს რუ-ანკარას ბატარა ტალღებად აგორებულმა წყლებმა და ცქრიალით გზა განაგრძეს.

ნუცა ატირდა. მას შერცხვა, რომ ნატვრის-თვალი დაჰკარგა. ვანოს შეეცოდა და.

— რა გატირებს, გოგო?—გასამხნევებლად უთხრა მაშინ მტირალ დას ვანომ:—კიდევ ვნახავთ ნატვრის-თვალს! ბატარა ხომ არ ხარ, რომ ტირი. სუეველას უთხრათ, რომ ნატვრის-თვალი ჩვენია, ჩვენ მოვტაცეთ გველებს იგი, ჩვენ ვიპოვეთ და შემდეგ დაგვეკარგა. მაშინ თუ ვინმემ იპოვნა გზაზე უსათუოდ უკან დაგვიბრუნებს... ესეც რომ არ იყოს, ტეშრიალა ცოცხალი გვეავდეს და არაფერი გვიჭირს. დედა ხომ მოვარჩინეთ მაინც. ნუ ტირი, თორემ სირცხვილია.

ასე ამბობდა ვანო და ანუგეშებდა ნუცას. ვანო-კი ასე ამბობდა ასე, რადგანაც გამბედავი იყო და კარგად იცოდა, რომ კვლავ მოსტაცებდა გველებს ნატვრის-თვალს; ნუცამაც დაუჯერა მას.

ლეო ქიაჩელი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვის ბინის მტაცებელნი.

უმცა ეს საოცარია, მაგრამ მრავალი ცხოველი არ იკეთებს ბინას, არც თავისთვის და არც ჩამომავალთათვის. ზოგნი სხვას ბინას სტაცებენ და თითონ სახლდებიან; ზოგნი კმაყოფილდებიან მიტოვებული ბუდით ან სოროთი.

წვრილ ფრინველთა შორის მრავალია სხვის ბუდის მტაცებელი. აი, მაგალითად, მჭრინავი, გარეგნობით ძალიან ჭვავს მშრომელ მერცხალს, მაგრამ სრულიად განსხვავებულია ხასიათით და ჩვეულებით. მჭრინავი არას დროს ბუდეს არ იკეთებს, გაკეთებულს არ თმევს შროშანს ან ბელურას. დიდი კაბასი და მახინჯარია. ისე მედგრად მიიტანს იერიშს რომ ბატრონები, უფრო ხშირად სტოვებენ თავი-



მჭრინავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანთ არჩეულ ალაგს და სხვა ადგილას სახლდებიან. ხან-და-ხან კვერცხებზე დამჯდარ დედალს მჭრინავი ისე სტანჯავს, რომ საცოდავი რჩეობს დასტოვოს კვერცხებიც-კი, ვიდრე ეს ტანჯვა აიტანოს

მაგრამ ეოველთვის გამარჯვებული არა რჩება ეს ფრინველი; ხან-და-ხან ზოგიერთი ფრინველი უკუაგდებს მას და გაწბილებული მტერი ბინავდება საძრეკლოზე და ან ეავ-რულ ქვეშ, სადაც მუქთა ბინას აგებს ჩალით; ამ ჩალასაც სტაცებს სხვა ფრინველს, რომელსაც იგი თავის ბუდისთვის მიაქვს. ეს საქციელი მჭრინავს ერთის მხრით მიეტევება, რადგან უჭირს მიწაზე სიარული. სიარული-კი აუცილებელია ასაშენებელი მასალის მოსაგროვებლად. როდესაც ის დაეშვება მიწაზე, ძლივს სდგამს ფეხს, თითქოს მიბობღავსო და დიდი ძალის მოკრება სჭირდება ასაფრენად.

ჩხართვი.

ჩხართვი უფრო მედგრად მოქმედებს: თრი-თინას ართმევს სოროს და მოგროვილ მა-სალაზე—ხავსზე, აკეთებს რბილ და მოხერ-ხებულ ბუდეს.

ბევრნი ცილსა სწამებენ ბელურებს,—მერცხლების ბუდის ტაცებას აბრალებენ, მაგრამ უკანასკნელმა მეცნიერულმა გამოკვლევამ ასსნა მათ ეს ბრალი.

თრითინა (ციყვი)

მელია ხშირად სტაცებს სოროს მაჩვს, რომელიც ეოველთვის აკეთებს ფართო და მაღალ სადგომს. მელია ეშმაკობას ხმარობს: მაჩვის მოსაშორებლად სოროს შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკვალში სტოვებს საღარბაზო ბარათს: მერალ უსუფთაო ბინა-ვას. მაჩვი, როგორც მეტად სუფთა ცხოველი, იმავ წამს შორდება იქაურობას და უტოვებს თავის ბინას მელას.

მ ა ჩ ვ ი

ზოგიერთი ცხოველები სხვანაირად იქცევიან: კმაყოფილდებიან მიტოვებული ბუდეებით, ასწორებენ და ბინავდებიან შიგ მთელი ზაფხულით. ასე იქცევა, მაგალითად, ძერა: აირჩევს ყვავის ძველ ბუდეს, ჭყენს შიგ მჩვრებს და ქაღალდებს, რომლებიც განსაკუთრებით უყვარს, და ბინავდება.

ამათ მოსდევენ ცხოველნი, რომელნიც ბინადრობენ თვით ბუნებისაგან მოწყობილ სადგომებში.

მაგალითად—ღამურები, გამოქვაბულებში და თაღებ ქვეშ მცხოვრებნი; ხვლიკები, რომელნიც ცხოვრობენ ნაპრალებში; ფუნდურები, რომელნიც მიკედლებულები არიან ქვების ქვეშ და მრავალი მწერები, ხის ქერქ ქვეშ მცხოვრებნი.

ღამურა.

ზოგიერთ ცხოველებს სურვილი შრომის აცილებისა მუდმივ ზნეთა სჯირთ, ზოგს-კი შემთხვევით მოსდით. ამგვარია, მაგალითად, ოფოფი, რომელიც ყოველთვის თვითონ აკეთებს ბუდეს, მაგრამ, თუ იპოვა შესაფერი ხავსიანი ფუღურო, გულდამშვიდებით მოიკალათებს შიგ.

ბუც ამგვარადვე იქცევა. ესევე იქცევა ლამაზი იასამნის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერი კრაზანა, რომელიც ბლომადაა ბაღებში. ამათში დედალი, უფრო ხშირად, კვერცხებსა და სანოვაგეს აწყობს მისგანვე გაკეთებულ რომელსაც ხის ხვრელში. აგრეთვე ხშირად, ხანგრძლივი შრომის ასაცილებლად, ეს ჭკვიანი ხარმაცი მწერი სარგებლობს გაკეთებულ ხვრელებით იმ ბოძებში, რომლებზედაც ბაღებში ამაგრებენ საქანელებს და სხვა-და-სხვა მოწყობილობას.

ზოგიერთი ჰატარა თევზები ირჩევენ საცხოვრებლად მედუზას სხეულს, რომელიც მიაგავს მცურავ ბროლის სასახლეს. ეს თევზები ეოველთვის დაცურავენ მედუზას სიახლოვეს, რომლის სხეულში შედიან ჰირველსავე განსაცდელის მოლოდინის დროს; მედუზას გვამში ჭჰოებენ მშვენიერ ნათელ სადგომს; იქ ეტევა რამდენიმე თევზი ერთად, იქვე ჭერეკენ მედუზას მოუნელებელ საჭმელს.



მ ე დ უ ზ ა

ზოგიერთი ჰატარა თევზები—კიბოები—დამშვიდებით ცხოვრობენ ორბაკოვან ნიჟარაში, სადაც იჰოვება ეველა ნივთი იმათ გამოსაკვებად.

ერთგვარი კიბო, გარეგნობით ზღვის ობობას მზგავსი, შოულობს მუქთა ბინას, მაგრამ არაჩვეულებრივს. წინა ფეხებით ჭგლეჯს კლდიდან მოსდილ ღრუბელს, ზურგზედ იდებს და ორი აშვერილი თათით უჭირავს. ღრუბელი კარგად გრძნობს თავს, ცოტახანს შემდეგ ეკრობა კიბოს და ჭფარავს მას ეოველ მხრივ. ამ რიგად კიბო შოულობს მოსერხებულ და რბილ სახლს, რომელიც თან დააქვს; გარედ რჩება მხოლოდ ორი თათი და საწერტლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიბო—განდეგილი—ცხოვრობს მკვდარ მოლიუსკის ნიჟარაში, თან დააქვს და მთლად შიგა ძვრება, როცა რამე განსაცდელი მოელის.



ცოცხალი ღრუბელი.

ბევრი ჰატარა თევზი ცხოვრობს ზღვის მომცრო ცხოველების ნიჟარების ქვეშ. თუ ამ თევზებს შეხვდათ ჰირადმა დატოვებული ნიჟარა, თავით გადაბრუნებენ, შეძვრებიან ქვეშ და იქ სდებენ კვერცხებს.

არიან იმისთანა ჭიანჭველები, რომელნიც ეშმაკობით სხვას აკეთებინებენ თავისთვის ბინას, მაგალითად—ჭიანჭველა—ამაზონი, განსხვავებული არაჩვეულებრივი ზოზინაობით. გარდა ამ ნაკლისა, მათი ტანის ნაწილები ცუდათაა მოწყობილი მუშაობისათვის, ამიტომ, როცა ბუდე ვერ იტევთ, ისინი მიდიან უბრალო ჭიანჭველების ბუდის საპოვნელად და იერიშით იღებენ. სახლის ჰატრონები ჯერ იცავენ თავიანთ სახლს, ბოლოს-კი უკუდგებიან, მაშინ ამაზონები შედიან იმათ ბუდეში, ჭერეფენ კვერცხებს და გადააქვთ თავიანთსა. ამ კვერცხებიდან რამდენიმე დღის უკან იჩეკება უბრალო ჭიანჭველები, რომელთაც იმ ბუდის შვილებად მიაჩნიათ თავი და მაშინვე იწყებენ მუშაობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესენი ან აფართოვებენ ბუდეს, ან აკეთებენ ახალს, ან ზონებს უხარიათ და ცხოვრობენ სიამოვნებით და უშრომლად.

ამრიგად მრავალი ცხოველი, როგორც ვთქვით, თავიდან იცილებს შრომას — არც თავისთვის და არც ჩამომავლობისთვის არ აკეთებენ ბინას: ყველა მათგანი თავის მოდგმის და ზნის შესაფერ საშუალებას ჰოულობს ბინის საშოვნელად.

ელ. ანტონოვსკისა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

კაცი და გველი.

(ზღაპარი).

იდიოდა გლეხი. დაინახა—ტეე იწ-ვის. ცეცხლიდან ისმის ხმა: მი-შველეთ, მიშველეთო! მიუახლოვდა გლეხი ცეცხლს, დაინახა ეუთი; ჯოხით გამოათრია ეუთი ცეცხლიდან, მოხადა ჰირი: ამოძვრა უზარმაზარი გველი, მივარდა გლეხს, დაგლეჯას უპირებდა. გლეხმა უთხრა: მე შენ სიკეთილს გადაგარჩინე, შენ კი მადლობის მაგიერ მღუპავო?

გველმა უპასუხა: ,,ადამიანი უმადურია: სიკეთე ვერ დაუფასებია, ღირსია სიკეთილისა.''

გლეხმა უთხრა: ,,აქ ახლოს მუხა დგას, წავიდეთ მასთან, უამბოთ ჩვენი თავ-გადასავალი; თუ იმან სთქვა რომ, მე ღირსი ვარ სიკეთილისა მაშინ მომკალი.''

გველი დათანხმდა. გაჰყვა გლეხსა. მივიდნენ მუხასთან. გლეხმა უამბო: ,,მივდიოდი ჩემთვის გზაზე; გავიგე ეკირილი ცეცხლ-მოკიდებულ ტეიდან; გამოვათრიე იქიდან ეუთი, მოვხადე ჰირი, აღმოჩნდა ეს გველი, რომელიც მე გადავარჩინე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიკვდილისაგან. ახლა მადლობის მაგიერ დაგლეჯას მიპირებს. არის აქ ნამცეცი სიმართლისა?''

მუხამ უპასუხა:—,,ადამიანი უმადურია: ზაფხულის პაპანაქება ში მოდიხართ ჩემ ჩრდილში, ისვენებთ, გაგრილდებით, მერე, მადლობის მაგიერ, ადიხართ და ჭკაფავთ ჩემ ტოტებს. თუ არა თქვენი ბოროტი სული, მე ახლა უზარმაზარი ვიქნებო-დი. ღირსი ხარ სიკვდილისა.''

გველმა გადახედა გლეხს და უთხრა: ,,რაღა გეთქმის? — ახლავე უნდა მოგკლაო''

გლეხმა სთხოვა: ,,აი აქ ახლოს, მთის კალთაზე მელას სორო აქვს; მივიდეთ იმასთან, უთხრათ ჩვენი თავ-გადასავალი: თუ ისიც იტყვის, რომ მე ღირსი ვარ სიკვდილისა, მაშინ რაც გინდა ის მიყავი.''

გველი დათანხმდა.

მივიდნენ მელასთან. გლეხმა უამბო თავის თავ-გადასავალი. მელამ შეხედა ჯერ გველს, მერე გლეხს; შეიბრალა გლეხი. უთხრა გველს:

,,ნუ თუ შენ ამ პატარა ეუთში ეტევი? აბა გვაჩვენე რო-გორ იწექი?''

გველი ჩაწვა ეუთში.

,,აბა როგორ იყო დახურული თავი?''

გლეხმა დახურა თავი ეუთს.

,,აბა ერთი ფეხი ჭკარი მაგ ეუთსა.''

გლეხმა ჭკრა ფეხი: ეუთი დაგორდა მთიდან, წავიდა ძირს. მელა მიუბრუნდა გლეხს და უთხრა: ,,ახლა ხომ გადაგარჩინე სიკვდილისაგან? გასწი წადი!

გლეხმა გასწია თავის გზისკენ.

მელა დარჩა მთის კალთაზე. გლეხმა გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, დადგა და ჩაფიქრდა: ამ მელიას ტყავს ხომ მანე-თად ან ექვს აბაზად გავყიდიო,—მოუბრუნდა, თოფი ესროლა მელას და მოჭკლა.

მ. ხუციშვილი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილები რედაქციის მიმართ.

ქ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ ჩვენც ჩაგვწეროთ ,,ფრინველთა დამცველ საზოგადოების'' წევრებად და ყველა პირობებს საკვსებით შეგასრულებთ.

კიმოთე ინწკირველი და მიხეილ ძიძიშვილი.

ქ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ ჩვენც ჩაგვრიცხოთ ,,ფრინველთა დამცველ საზოგადოების'' წევრებად, რადგანაც ძალიან გულით გვიყვარს ფრინველები. პატიოსან სიტყვას გაძლევთ, რომ საკვსებით და ძტკიცედ შეგასრულებთ ყველა პირობებს.

თამარ და იოსებ დევდარიანები.

ქ-ნო რედაქტორო!

მე ძლიერ მიყვარს ფრინველები და მინდა ჩაგეწეროთ ,,მაისის კავშირის'' წევრად, მხოლოდ არ ვიცი რა მოვალეობა აწევს წევრებს, გარდა ფრინველების მტრისაგან დაცვისა. ამიტომ გთხოვთ გამაცნოთ ვრცლად ამ წევრობის პირობები. *)

ბათუმის არნოლდის გიმნაზიის მესამე კლასის მოწაფე

კოწია ნაკაშიძე.

---

*) შემდეგ ნომერში ჩვენ დავბეჭდავთ რა მოვალეობა უნდა იკისრონ „მაისის კავშირის“ წევრებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეოგრაფიული ამოცანა.

დამიწერეთ: ქალაქი კახეთში—6 ასოსაგან.
— აგარაკი ქართლში—7 ასოსგან.
— დასავლეთი საქართველო—7 ასოსგან.
— მდინარე ქართლში—6 ასოსგან.
— მდინარე კახეთში—4 ასოსგან.
— სამთავრო შავი ზღვის ნაპირას 11 ასოსგან.
— საქართველოს მეორე სახელი.—6 ასოსგან.

ამ სიტყვების პირველ ასოებიდან გამოიყვანეთ საქართველოს პირველი ქალაქი.

რებუსი

(წარმოდგენილი ალ. იასაღაშვილისაგან).



მე-17 №-ში მოთავსებულ შარადების და რებუსის აღსნა

1. ~~ბუსარი~~. ნაბუსარი 2. შარადა.

ბუსარი და ორი კაცი თუ გასჭირდა სამი კაცი, თუ მეოთხე მოემატა, მასპინძელო, კარში გადი.

რედაქტორი: **ნინო ნაკაშიძე.** გამომცემელი **თ. პ. ი. თუმანიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

1913 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადულ“-ზე

✦ წელიწადი მეცხრე ✦

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით; მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები ⁊ პედაგოგები.

წლიურად ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 **წიგნი** „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის. **12** **წიგნი** „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

1913 წელს წლიური ხელის მომწერნი ორივე გამოცემისა **საჩუქრად მიიღებენ ამერიკელ მწერალ ქალის ჰარიეტ ბიჩერ სტოუს რომანს ზანგთა განთავისუფლების დროიდან, „ბიძია თომას ქოხი“**-ს სრულ თარგმანს. **წიგნში იქნება 80-ზე მეტი სურათი და ჩართული იქნება ავტორის სურათი და ბიოგრაფია.**

თარგმანის რედაქცია და ინგლისურ დედანთან შედარება იკისრა ილია ნაკაშიძემ.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—**5** მ. ნახევარ წლით—**3** მან., ცალკ-ცალკე მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი—3** მან., მოზრდილთათვის **12 წიგნი—3** მან. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა შეიძლება

ტფილისში—„ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახ., გოლოვინ. ᲞᲠ. № 8. Редакція „Накадули,“ Головинскій пр., № 8, და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა. **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. უაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან და ვლ. ნატვალიძესთან. **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან. **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან, ტროფიმ ინასარიძესთან და ანასტასია ლომინაძესთან. **ოზურგეთში** ⁊ **ლანჩხუთში**—ლეო იმნაძესთან. **თელავში**—ვახო ᲨᲐᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ-თან. **ახალ-ციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან, ნინო გელაშვილთან და ივანე ელიაშვილთან. **გორში**—ნინო ლომაურთან და ქეთევან ჯავახიშვილთან. **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან. **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან. **განჯაში**—ბ. ამბოქაძესთან. **ერევანში**—კ. ოდიშარიასთან. **სილნალში**—ნ. ახმეტელაშვილთან. **ყარსში**—ივ. სასთაშვილთან. **ალექსანდროპოლში**—ს. შატბერაშვილთან. **როსტოვში**—მ. კლიმიაშვილთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**.

გამომცემელი **თავ. პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი**.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ნაკადული“-ს რედაქციაში

და

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი წიგნები:

1) **ტომის თავგადასავალი,**—თხზ. მარკ ტვენისა, თარგმ. გრ. ყიფშიძისა, ფასი. . . . . 50 კ.

2) **რას გვიამბობს ოთახი,**—თხზ. ავენარიუსისა, თარგმ. გ. ჯაფარიძისა, ფასი. . . . . 20 კ.

3) **დასურათებული ასაწყობი ანბანი,**—ფასი. . . 1 მ. 20 კ.

4) **სკრუჯი და მარლეი,**—საშობაო მოთხრობა, ჩარლზ დიკკენსისა, თარგმანი ნინო ნაკაშიძისა, ფასი . 25 კ.

5) **დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები** ჰ. ქ. ანდერსენისა, ერ. სეტ. ტომპსონისა, გ. ინსაინისა და რ. კიპლინგისა, ფასი . . . . . 30 კ.

6) **ბავშვობა და სიყრმე,**—მოთხრობა ლევ ტოლსტოისა, თარგმ. ნინო ნაკაშიძისა, ფასი . . . . 60 კ.

7) **ორი მხატვარი,**—თარგმანი დ. ავალიანისა, ფასი . 15 კ.

8) **სამშობლო ბუნების სარკე,** დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები,—ივანე ელიაშვილისა, ფასი. 30 კ.

9) **შობა,** მოთხრობა გურიის ცხოვრებიდან,—ნინო ნაკაშიძისა, ფასი . . . . . 5 კ.

10) **ახალგაზრდა მეფის სიზმარი და დევი—ეგოისტი,** ორი მოთხრობა ოსკარ უაილდისა, თარგმ. ივ. მაჭავარიანისა, ფასი . . . . . 5 კ.

11) **დათო,**—ირ. ევდოშვილისა, დიდების მაძიებელი, თარგმ ალ. შანშიაშვილისა, ფასი . . . 5 კ.

12) **მოთხრობები,**—ლაგერლეფისა და სხვა უცხო მწერლებისა . . . . . 5 კ.

13) **იგავ-არაკნი,**—125 დასურათებული, პატარა მოთხრობა, ავტორის სურათით, ალ. მირიანაშვილისა, ფასი. . . . . 75 კ.